საქართველო
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს
განკარგულება

№ 15/69 „30" ივლისი 2011 წ.

ქალაქი ფოთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების
„ფოთიქალაქპროექტის" წესდების დამტკიცების შესახებ

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულო აღნიშნავს, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (№215081355) შესაბამისად, შპს ,,ფოთიქალაქპროექტი" წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკუთრებას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს შპს „ფოთიქალაქპროექტის" წესდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.დამტკიცდეს შპს „ფოთიქალაქპროექტის" (საიდენტიფიკაციო კოდი 215081355 მისამართი: საქართველო, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №10) წესდება თანახმად დანართისა.

მუხლი 2.შპს „ფოთიქალაქპროექტის" დირექტორმა (ლ.გვასალიამ) უზრუნველყოს წესდების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია.

მუხლი 3.„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ივანე საღინაძე

დანართი 1

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფოთიქალაქპროექტის"

წესდება

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფოთიქალაქპროექტი" წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ"საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.
2.სუბიექტი დაფუძნებულად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
3.საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდებაა შპს „ფოთიქალაქპროექტი".
4.საწარმოს სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
5. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №10 .
6.საწარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.
7.საზოგადოების საქმიანობის საგანი:
ა)საწარმო, სამოქალაქო, საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების შენობების მშენებლობის პროცესების რეგულირება, ურბანიზაციისა და მშენებლობის თანამედროვე პოლიტიკისა და სტრატეგიის დაფუძნება;
ბ)გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში, ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მიღება;
გ)რაიონული და საქალაქო ცენტრების, განაშენიანებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების ათვისება გენერალური გეგმა–სქემების შედგენაში აქტიური მონაწილეობის მიღება და მათი პრაქტიკაში ხორცშესხმისთვის სამრეწველო, სამოქალაქო თუ სხვა ხასიათის ცალკეული ობიექტებისა და კომპლექსების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციათა დამუშავება.
დ)განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის საწარმოებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა, საჭიროების შემთხვევაში კი განხორციელება საკუთარი ძალებით სათანადო ხელშეკრულების მიხედვით.
ე)ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და დასახლებების, ქალაქური სახლების და კომპლექსების, საკურორტო, სარეკრიაციო, საოფისე კომპლექსებისა და სასტუმროების დაპროექტება.
ვ)სამდინარო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და მელიორაციული სისტემების ერთსტადიანი პროექტების დამუშავება.
ზ)დასახლებებისა და სოფლის წყალსადენების,სასოფლო, საპლანტაციო გზებისა და ხიდების, საკანალიზაციო, სისტემებისა და კომუნალური მეურნეობის.სხვა ობიექტების სამუშაო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციათა შედგენა.
თ)საქმიანობაში ხელმძღვანელობს საწარმო, სამოქალაქო, საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) წინა საპროექტო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების უახლესი ნორმითა და წესებით, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სხვა ნორმატიული, მარეგულირებელი დოკუმენტებით.
ი)აქტიურად მონაწილეობს კაპიტალურ მშენებლობაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის დასაფუძნებლად ფოთსა და მის მიმდებარე რეგიონში გასატარებელ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ღონისძიებებში.
კ)თანამშრომლობს და ამყარებს საქმიან კონტაქტებს ძირითადი და მონათესავე პროფილის საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან, სააქციო საზოგადოებებთან, ფირმებთან, ასოციაციებთან და კორპორაციებთან.
ლ)ყველა საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

მ)საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 2. საზოგადოების დამფუძნებლები

საზოგადოების 100% წილის მფლობელია თვითმმართველი ქალაქი ფოთი (საიდენტიკიფიკაციო კოდი 215138143, თვითმმართველი ერთეულების რეესტრში რეგისტრაციის თარიღი 04.12.2006 წელი, რეგისტრაციის N14, მისამართი საქართველო, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის N12.) თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (თვითმმართველი ერთეული) ხელმძღვანელია-თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ივანე საღინაძე, (პირადი ნომერი 60001014692, პირადობის მოწმობის №ბ 0845803, მისამართი: ქალაქი ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №27/30).

მუხლი 3. საზოგადოების მართვა

1.საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულო.
2.საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულო გადაწყვეტილებას ღებულობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულო იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:
ა) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების შეტანა;
ბ)ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
გ)ინვესტიციების მოზიდვა;
დ)ვალდებულებათა აღება;
ე)ვალდებულებათა უზრუნველყოფა(თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს თანხმობა არ ჭირდება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში და ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მიღებასთან და შესაბამისი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საბანკო გარანტიის აღებას);
ვ)პროკურის გაცემა და გაუქმება;
ზ)წლიური შედეგების დამტკიცება;
თ)აუდიტორის არჩევა;
ი)საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
4.ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს თანხმობას.

მუხლი 4 საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1.საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი.
2.დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად ამ წესდებისა და მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად, თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.
4.დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირთან ურთიერთობაში.

5.დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს გადაწყვეტილებით.
6.ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.
7.საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს.
8.დირექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" შესაბამისად, საწარმოში დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება და გაუქმება.
9.დირექტორს, იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს მას, თანხმობის გარეშე უფლება არა აქვს პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

მუხლი 5. თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს უფლებები და მოვალეობები

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს გააჩნია შემდეგი უფლებები:
1. მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;
2.კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;
3. გაეცნოს საზოგადოების საქმიანობას;
4. მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებები.

მუხლი 6. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1.საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია შესაძლებელია თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
2.სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დასკვნითი და სხვა დებულებები

1.წინამდებარე წესდება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.
2.თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.
3.ამ წესდების დამტკიცება გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე ივანე საღინაძე